N 50418-22 27/05/2022

სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის
უფროსს ბატონ ჯონი შურღულაიას

ამავე სამსახურის სისტემური ადმინისტრირების
დეპარტამენტის უფროსის ირაკლი ჩხაიძის

მოხსენებითი ბარათი

როგორც მოგეხსენებათ, სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის (შემდგომში - „სამსახური"), ბალანსზე რიცხულ უძრავ ქონებაზე, მდებარე ქ.თბილისში, ქინძმარაულის ქუჩა №19-ის მიმდებარედ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის/უძრავი ქონების/საკადასტრო კოდი: №01.19.33.008.345) რომელზედაც უნდა განხორციელდეს მონაცემთა დამუშავებისა და შენახვის ცენტრის მოწყობა, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური იქნება საქართველოში და მოემსახურება ისეთი მაღალი კრიტიკულობის მატარებელ ელექტრონულ სისტემებს, როგორებიცაა: სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემას (eTreasury), ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემას (eBudget), სახელმწიფო ვალისა და საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემას (eDMS), შემოსავლების სამსახურის ელექტრონული მომსახურების სისტემას (eServices), შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო პორტალს (RS), საბაჟო დეკლარირების ელექტრონული სისტემას (eCustoms), ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებულ სისტემას (eHRMS) საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემას (eDocument) და სხვა.

შესაბამისად მიზანშეწონილად მიმაჩნია აღნიშნულ მიწის ნაკვეთთან განხორციელდეს ელ.ელექტროენერგიის მიწოდება, კერძოდ უნდა განხორციელდეს ახალი ობიექტის გამანაწილებელ ქსელთან მიერთება, სულ მცირე 10 (1-10 კვტ 220 ვ.) კვ სიმძლავრისათვის, „ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელის წესების" დამტკიცების შესახებ"2021 წლის 28 ივნისის საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიის N19 დადგენილების შესაბამისად უნდა განხორციელდეს 800 (რვაასი) ლარის გადახდა შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღების დასახელება: **სს "თელასი"**,
საბანკო ანგარიში: **სს "ბაზისბანკი"**
საბანკო კოდი: **CBASGE22**
ანგარიშსწორების **ანგარიში: GE87BS0000000033836853**
დანიშნულება: **ახალი მომხარებლის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების საფასური.**

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის დეპარტამენტს უზრუნველყოს ანგარიშწორება და შემდგომი შესაბამისი პროცედურების განხორციელება.

პატივისცემით,

ირაკლი ჩხაიძე

დეპარტამენტის უფროსი
სისტემური ადმინისტრირების დეპარტამენტი